თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით
პესონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე

იმ შემთხვევაში, თუ გსურთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს **შპს „ვაკო მოტორსის“** (ს/ნ: 202463823; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მას., VI კვ., კორპ. N23ა; ტელეფონის ნომერი: 0322 49 75 75; ელ.ფოსტის მისამართი: info@vakomotors.ge შემდგომში - „კომპანია“) მიერ **პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის** და ხართ არანაკლებ 16 წლის, გთხოვთ, გაიაროთ რეგისტრაცია:

წინამდებარე თანხმობით უფლებას ვანიჭებ შპს „ვაკო მოტორსს“, რომ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები, მათ შორის, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, ჩემ მიერ შეძენილი პროდუქტების/მიღებული მომსახურების შესახებ ინფორმაცია პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის და ჩემ მიერ რეგისტრაციის ან სამომავლოდ დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე SMS-ის, სხვადასხვა ელექტრონული შეტყობინებების გამოგზავნის ან სატელეფონო კომუნიკაციის გზით განახორციელოს ინფორმაციის მოწოდება:

- საქონელზე/მომსახურებაზე გავრცელებული ფასდაკლების, შეთავაზებების, სპეციალური აქციების, საჩუქრების თუ სხვა ღონისძიებების თაობაზე;
- გეგმიური მომსახურებების საჭიროების, ფილიალიებისა და სერვის ცენტრების სამუშაო საათების, ხელმისაწვდომობის შესახებ;
- სხვა მარკეტინგული აქტივობების თაობაზე.

ამასთან, ვადასტურებ, რომ თანახმა ვარ ჩავერთო მომხმარებლის კმაყოფილების კვლევაში და კომპანიის მიერ ინიცირებული სატელეფონო კომუნიკაციით ან SMS-ით დავაფიქსირო შეფასება გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, განვაცხადებ თუ არა თანხმობას მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების თაობაზე, ვაცნობიერებ, რომ არ შემეზღუდება კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის/საქონლის შესყიდვის უფლება, შესაბამისად, ჩემი თანხმობა არის სრულად ნებაყოფლობითი და ეფუძნება კომპანიისგან მიღებულ ინფორმაციას.

ამასთან, ვაცხადებ, რომ ინფორმირებული ვარ საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული ჩემი უფლებების თაობაზე, მათ შორის, ვაცნობიერებ, რომ მე მაქვს უფლება ნებისმიერ დროს უარი ვთქვა ჩემი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე, მათ შორის, SMS შეტყობინების მიღებაზე უარის თქმისთვის გამოვიყენო SMS OFF-ის ფუნქცია, რომელიც უფასოა და რაც ავალდებულებს კომპანიას, რომ შეწყვიტოს ჩემს სარგებლობაში არსებულ ტელეფონის ნომერზე მარკეტინგული სახის შეტყობინებების გამოგზავნა არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში;

უარი პირდაპირი მარკეტინგის მიზნით
პესონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე

იმ შემთხვევაში, თუ აღარ გსურთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს **შპს „ვაკო მოტორსის“** (ს/ნ: 202463823; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი,

დიღმის მას., VI კვ., კორპ. N23ა; ტელეფონის ნომერი: 0322 49 75 75; ელ.ფოსტის მისამართი: info@vakomotors.ge შემდგომში - „კომპანია“) მიერ **პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის** და ხართ არანაკლებ 16 წლის, გთხოვთ, გაიაროთ რეგისტრაცია:

წინამდებარე ფორმის დადასტურებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში შეწყდება თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავება, მათ შორის, აღარ განხორციელდება თქვენი ინფორმირება სხვადასხვა ფასდაკლებების თუ აქციების თაობაზე.